გელა ბუიღლიშვილი

პოეტური არტი და სხვა

ქუთაისი

2020

ბიოგრაფია

გელა ბუიღლიშვილი დაიბადა 1998 წლის 27 ივლისს. ახალგაზრდა მწერალი. სამი წიგნის ავტორი. მათ შორის ელექტრონულისაც.

ადეული ასაკიდან დაიწყო წერა. თავდაპირველად თხზავდა ზღაპრებს, ხატავდა.

გელა აქტიურად მონაწილეობს შემოქმედთა ლიტერატურულ კონკურსებში. არის სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების არაერთგზის გამარჯვებული. 2015 წელს

„საკუთარი ორიგინალური ხედვისა და პოეტური აზროვნებისათვის“ საქართველოს

მწერალთა სახლის რჩეული გახდა. დაჯილდოებულია საქართველოს კულტურისა და

ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის დიპლომებით.

2019 წლის 14 აპრილს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონ-

კურსში „რეპორტაჟები 1978 წლის 14 აპრილის შესახებ“ დაჯილდოვდა II ხარისხის დი-

პლომითა და ფულადი პრემიით. მონაწილეობას ღებულობდა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მიერ გამოცხადებულ „დათა გულუას სახელობის პოეზიის კო-

ნკურსში,“ სადაც დაჯილდოვდა სიგელითა და წიგნებით.

სისტემატურად იბეჭდება „მწერლის გაზეთში“. წერს ლექსებს, ჰაიკუს, ესეს, ჩანახატებს

მინიატურებს, ზღაპრებს, პიესებს, სცენარებს. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დაწყებითი განათლების პროქტში „G-PRID“. დაგეგმა რამდენიმე გაკვეთილი საგანმანათლებლო რესურსად.

2019 14.08.

მისამართი: თერჯოლის რაიონი სოფ. ქვედა სიმონეთი.

ელფოსტა -maiameluava@gmail.com

ტელ.551 262817

ახალი რვეულიდან....

ემმა! შავ თვალთა კრთომამ,

მე ამიბორგა სული,

შენს ახლოს ასე თრთოლამ,

ლამის მომიკლას გული,

ვერ გავეყარე ფიქრებს

დღემუდამ შენზე მთხრობელთ,

კვლავ ველოდები ფიქრებს ,

ისე ვით მახარობლებს.

ფიქრებსა და ოცნებებში ჩავეფალი,

ქუჩებში ჰქრის თეთრი გაზაფხულის ქარი.

ემმა!--აღმოხდა ბაგეთ,

ემმა!--აღმოხდა გულსაც,

ოცნებავ, მითხარ-არგე

შენ ამ გულს დადაგულსა?!

ემმა! შავ თვალთა კრთომამ,

ემმა! შავ თვალთა კრთომამ,

ემმა! შენს ახლოს თრთოლამ,

ემმა! შენს ახლოს თრთოლამ.....

2020 წლის ივნისი.

უსათაურო

*

ნუ გამაცილებ ქარიშხლიან ცივი აფრებით,

შენი ბეღურა სხვა ალერსით ვით დაპურდება.

მზის ბილიკებზე ღრუბელივით ჩაგისაფრდები,

როცა შენ მოხვალ, ვნების ცეცხლი აგუგუნდება.

მე სევდიანი თვალთა მზერით დავიდაფნები,

შენი ბეღურა სხვა ალერსით ვით დაპურდება.

ნუ გამაცილებ ქარიშხლიან ცივი აფრებით.

2020 წლის მაისი.

ღამის პანორამა

ღამე, გულმშვიდი ღამე,

იდგა ბინდივით დინჯი,

არსით იძვროდა რამე,

თეთრია მგოსნის ფიქრი.

ბინდში ვარდნილა წყალი,

თავქვე გამორბის ლაღი

მთის წყალი, წმინდა, სუფთა,

ბუტბუტებს, როგორც ბალღი.

ციდან ნათელი მთვარის,

ზედ ეფინება წყაროს,

წყალი რბის ონავარი,

სურს ყველა გაახაროს.

წყაროს დიდ ცაცხვის ჩრდილი

ულამაზებდა ფერებს,

წყალი ძირს ჩავარდნილი,

წყლის წინწკლებს მოუფერებს.

თავისუფალი წყარო

და დიდი ცაცხვის ჩრდილი,

მარტო აკლია ამ წყვილს

ცელქი ნიავი დილის.

რაკრაკებს ნაკადები,

ფერით მოსილი, მალი,

ცის ნათელს ფერადებით

სულ დაუფარავს წყალი.

ჩაბნელებული ხევი

წყაროს უხდება ძალზე,

წყარო ცვარმინარევი

აპობს გზას მიუვალზე.

წყარო, ჩრდილი და ცაცხვი

თამაშობს ლამაზ დრამას

და წყლის ბუტბუტი მორცხვი

ქმნის ლამაზ პანორამას.

2020 წლის ივნისი.

„მორონა“

ანუ გრძელი ღამე

(ნოველა)

„როგორ დაცარიელდა ქალაქი ...

ვითომ ხალხი არის მასში და მაინც არ არის!

ვითომ ღიმილია, მაგრამ არ არის!...

სითბოა გარეთ, მაგრამ საოცარი სიცივეა. სადღაც ქუჩის ბოლოს გაიელვებენ შეშინებული ადამიანები. ისე სწრაფად ჩაუვლიან ერთმანეთს, თითქოს ეშინიათ ერთმანეთისაგან არაფერი გადაედოთ. მოწყენილი, ცარიელი, სევდიანი ქალაქი ...“

დილით ადრე წამოვიდა ქუთაისიდან ამ ფიქრებით დამძიმებული დავითი. კარგა ხანია მოდის. სახლისაკენ მიეჩქარება. ცხენდაცხენ მიუყვება ოკრობოკრო გზას.

იმერეთის ჩრდილიანი ორღობეები. სიცხე ძალზე აჭერდა.

ორღობეებში აქა-იქ რტოებდაშვებული ხეები რამდენამდე აგრილებდნენ ხვატს.

მალიმალ იწმენდდა შუბლიდან ოფლს.

გაივაკა.

წყაროსთან ცხენი შეაჩერა. ჩამოხტა. ცივი ანკარა წყალი ესიამოვნა დაღლილს. თითქოს სიცოცხლე მოემატა. სული მოითქვა. ცხენსაც დაალევინა მოწანწკარე წყაროდან. იქვე მოლზე მიუშვა. თვალი მილულა. უცებ ხმები ჩაესმა:

__ა, აქ შევისვენოთ, ჩემო ბატონო!

__კი, ბატონო ივანე, შევისვენოთ!

დავითმა თვალი გაახილა. წამოიწია. ორი უცნობი ჩოხოსანი დადგომოდა თავს. წამოდგა.

__ბატონო, მყუდროება ხომ არ დაგირღვიეთ?--შეეკითხა ერთი წვეროსანი.

__არა, არა ცოტა შევისვენე და კიდეც ჩამთვლიმა!

მეორე ჩოხოსანიც მოუახლოვდათ.

__აზნაური პლატონ სამანიშვილი გახლავართ, ჩემო ბატონო,--თავაზიანად გაეცნო დავითს--ეს კი ადვოკატი ივანე გვერდევანიძე ბრძანდება.

-გზაში დეევედარეთ ერთმანეთს. ქვედურეთს წასვლას ვაპირებდი.

__მწერალი დავით კლდიაშვილი--თავის მხრივ არ დააყოვნა დავითმაც.--შეისვენეთ, სიცხეა ძლიერ.

დავითმა დაკვირვებით შეათვალიერა მგზავრები: ერთი ხმელ-ხმელი, წვერიანი ახალგაზრდა კაცი იყო, მეორე--ჩასუქებული , წვერგაპარსული, კაზიროკ ქუდიანი, ქოლგით იღლიის ქვეშ, წითური სახის.

__მე ქვედურეთს ვაპირებდი წასვლას--დუმილი დაარღვია პლატონმა,--მარა, ეს კეთილშობილი აზნოურიშვილი შემომხვდა წინ და გამოვბრუნდი მეც უკან. შემაშინა ნამეტანი.

საუბარში ივანე ჩაება, კაზიროკიანი ქუდი მოიხადა და სახე უსიამოვნოდ შეეჭმუხნა:

__ქვედურეთში ვიყავი. თქვენი მტერი იქნა ისე, იქ მე ამბავი დამხვდა : საიდანღაც აღანტალებულა და მოდებულა იქ რაცხა „მორონა“ სენი. გარეთ ვერ გამოდიან ერთმანეთის შიშით, ქე დაღუპულა ბევრი. სპირიდონა ნემსაძის ცოლ-შვილი სულ ამომწყდარა, კაცი ვერ მიკარებია მოსახმარებლად.

რა უნდა ექნა საწყალს, დაუწყვია ურემზე ოთხივე--ცოლი და სამი შვილი და მარტო გოუტანია დასამარხავად. საქმე მქონდა, მარა ქე გამოვბრუნდი უკან, შემეშინდა! დამფრთხალია ხალხი, კარებში ვერ გამოდიან.

__ჰო, ქალაქშიც შეიმჩნევა ეგ სენი-დაუდასტურა დავითმა.

__ერთმანეთის წაგლეჯაზეა ყველა, ბატონო,--ალმური წაეკიდა პლატონს,--ერთმანეთს აღარაფერს ანებებენ, ჭიჭყინობენ, დავიდარობენ, ჰკლავენ ერთმანეთს. ცუდი დრო მოვიდა, ბატონო, ხალხიც მომრავლდა! ჩხუბით თუ გეიწმინდება ცოტაზე მაინც ქვეყანა--დაასრულა და თან თავის გულში ფიქრიც ჩაატანა „ოხერი მამის გამო რატომ ვისჯები? რაღა ახლა მოუნდა ორნაქმარევი და უშვილო დედაბერი. ამ უბედურების დროს სად მოვუნახო? ე, ჩემი სიძე კირილე კიდე რომ დახოწიალობს აქეთ-იქით, სადმე არაფერი ეიკიდოს და არ მიათრიოს სახლში, ამორაგვავს ცოლ-შვილს!“

დავითი ჩარევას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ვიღაც უცხო ცხენოსანი მიუახლოვდათ.

__ვინაა, ნეტავ?-იკითხა პლატონმა.

__რაღაც ჩვენებურს არ ჰგავს--გამოეპასუხა ივანე.

კეხიანცხვირიანი, ბაკენბარდებიანი და ხვეულთმიანი ბერის შავ, გრძელ, მოძველებულ ანაფორაში ჩაცმული მამაკაცი წაბლისფერი ცხენიდან ჩამოხტა და მათკენ წამოვიდა.

__თქვენ აქოური არ უნდა იყოთ, ბატონო!--მიმართა უცნობს მორიდებით ივანემ.

__თომას რობერტ მალთუსი, ინგლისელი მეცნიერი, დემოგრაფი--თავაზიანად გაეცნო უცხოელი და თავი დაუკრა წყაროსთან შეკრებილებს--

ახლა ვმოგზაურობ თქვენს ქვეყანაში, მაგრამ ვატყობ, მალე გავემგზავრები უკან. „მორონას ვირუსი გავრცელებულა და აღარ დავრჩები აქ.

ზრდილობიანი მისალმება არც ქართველებს დავიწყებიათ თავის მხრივ. უცხოელმა წყაროს წყალი დალია და ხელსახოცი ამოიღო, დაასველა, სახეზე მოისვა, გრძელკალთიანი სამოსი ჩაიბერტყა, დამტვერილი შავი ტყავის მაღალყელიანი ჩექმებიც გაისუფთავა.

__თქვენ, ბატონო, დიდი ხანია აქ ხართ?-მორიდებით შეეკითხა დავითი.

__არც ისე, მე ყველა ქვეყანაში ვმოგზაურობ. მოსახლეობის ზრდის შემაკავებელ და გა-

მანადგურებელ ფაქტორებს ვიკვლევ. როგორ აგიხსნათ? საზოგადოებამ მოსახლეობის ზრდის რეგულირება უნდა მოახდინოს. კაცობრიობა დედამიწაზე არათანაბრადაა გა

ნსახლებული, ზოგან იგი მჭიდროდ, ხოლო ზოგან მეჩხერად არის განლაგებული. მოსა-

ხლეობის ზრდის ბუნებრივ კანონებს ვადგენ.

__მერე, რა დაასკვენით, ბატონო ჩემო?__დაინტერესდა დავითი.

ივანე და პლატონი მათ გაოცებულნი უსმენდნენ, ბევრი ვერაფერი გაიგეს. ხან ერთს

გადახედავდნენ და ხან__მეორეს.

მალთუსმა მათ სიბრალულით თვალი მოავლო და გააგრძელა:

__მე დავასკვენი, რომ შეუსაბამობაა ერთი მხრივ , მოსახლეობის ზრდასა და მეორე მხრივ, საარსებო საშუალებათა ზრდას შორის. პირველი იზრდება გეომეტრიული,

ხოლო მეორე არითმეტიკული პროგრესიით. ამიტომ დედამიწას ემუქრება მოსახლე-

ობის სიჭარბე. იგი მოსახლეობის გამოკვებას ვერ შეძლებს. ამიტომ დედამიწას მოე-

დება ეპიდემიები, ომები, სახადი...

__ ე, ხომ ვამბობდი ჩხუბით თუ გეიწმინდება ქვეყანა-თქვა__გამოცოცხლდა პლატონი,

რაღაც მისთვის გასაგებს რომ მოჰკრა ყური.

__რატომ გამოუტანეთ ასეთი მკაცრი განაჩენი ადამის მოდგმას, ბატონო ჩემო? _ შეეკითხა დავითი მალთუსს, რომელიც უკვე ცხენზე ამხედრებულიყო და ზევიდან ნიშნისმოგებით იხედებოდა.

__თვითონ გამოუტანეს მათ თავიანთ თავს განაჩენი_უპასუხა უცხოელმა და წასვლა დააპირა.

__ვერ დაგეთანხმებით,__მტკივედ ჟღერდა დავითის ხმა__ვერ დაგეთანხმებით, ყველაფერი უფლის ნებაა და უფალი ჩვენ არ გვეკითხება ვინ მოავლინოს და ვინ არა ქვეყნად. საარსებოსაც თავად გაუჩენს თავის გაჩენილს, ასე რომ თქვენ, საცოდავი მოკვდავი, წამით მოსული ამ ქვეყნად ნუ ჩაერევით თქვენი ყბადა-ღებული თეორიებით მარადიულში.

მალთუსი გაკვირვებით უცქერდა ოფიცრის ფორმაში გამოწყობილ პატარა ტანის კაცს, რომლის თვალებიც მრისხანედ ანათებდა.

ხის საწერ მაგიდას მიუჯდა დავითი. ძალზედ დაღლილი იყო ნამგაზავრი, მაგრამ თავისი აზრები რომ ქაღალდისათვის არ გაენდო არ იქნებოდა , რაღაც ძა-ლა არ მოასვენებდა.

„ნეტავ, მალე გათენდებოდეს ეს გრძელი ნაცრისფერი ღამე!“

ჩამავალი მზე უკანასკნელ სხივებს ჰკრებდა ულამაზესი ეზოდან.

ბინდდებოდა.

იისფერი მელნით გულდაგულ გამოჰყავდა სტრიქონები: „ყველაფერს, რასაც ვწერდი, ადამიანების სიყვარული მაწერინებდა“...

გარეთ ძაღლი ჰყეფდა, ეზოებიდან დაბრუნებული პირუტყვის ბღავილი ისმოდა.

ხის ოდებიდან კვამლი ამოდიოდა. ჰაერში ცხელი მჭადის დამათრობელი სურნელი იფრქვეოდა...

იმერული ზაფხულის ღამეს მუსიკალურად ჭრიჭინობლები აფორმებდნენ...

18.04. 2020 წელი

ბებერი და ბრძენი მამონტის ზღაპარი

(თითქმის ზღაპარი, თითქმის დაკვეთით, „დაგვიწერეთ ერთი ზღაპარი რა იქნება...“)

ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს მოხდებოდა. რა? გაინტერესებთ? ახლავე! რა და პატარა და ოინბაზი ჯოვანი საჰაერო ბურთში შეიპარა, ბურთი გაუშვა და გაფრინდა. დიდხანს იფრინა ჯოვანიმ, დიდად ისიამოვნა ნაირფერი პეიზაჟებით, ბოლოს კი ეს უზარმაზარი ბურთი სადღაც უკაცრიელ კუნძულზე დაეშვა. უკვე ბნელდებოდა. პატარა ჯოვანი შიშმა აიტანა.

„სულ ჩემი ეშმაკობისა და ცელქობის ბრალია, ჩემი მშობლების დაუკითხავად საჰაერო ბურთში შევიპარე. მერე აქ აღმოვჩნდი. ახლა რაღა ვქნა?“-შეშინებულმა თქვა თავის გულში ჯოვანიმ და ღრიალი მორთო.

_დედა! დედიკო! დედიკო!

ხმის ჩაწყვეტამდე ტიროდა და მოთქვამდა. უცებ თბილი თათის შეხება იგრძნო. ჯოვანიმ თავი მაღლა ასწია და რას ხედავს? ვეებერთელა მამონტი თავზე დადგომოდა. მამონტი ჯოვანის ისტორიის სახელმძღვანელოდან ახსოვდა. ბიჭუნას თავდაპირველად შეეშინდა, მაგრამ მალე დამამშვიდებელი სიტყვა და თბილი, ცოტა არ იყოს ,უცნაური ხმა მოესმა:

__ნუ ტირი, ბიჭუნა, რატომ ტირი? ამ კუნძულზე დავბერდი და ადამიანის შვილი აქ არ მინახავს. გამოვყრუვდი მარტოობით.

__მე დედიკოსა და მამიკოს ნებართვის გარეშე საჰაერო ბურთში შევიპარე, ბევრი ვიფრინე, მერე აქ მოვხვდი-უთხრა აღელვებულმა.

რადგან ბაბუა მამონტმა არ იცოდა ბურთი რა იყო და ისიც საჰაერო, ჯოვანი დაჯდა და ყველაფერი ჩამოუკაკლა ტექნიკური პროგრესის შესახებ.

ბებერი და ბრძენი მამონტი დიდხანს უსმენდა ყურადღებით, ცოტა ყურთასმენა დაკლებოდა და ჯოვანის ხმამაღლა უხდებოდა ამბის მოყოლა, მერე მოხუცი მამონტი მას უამრავი ბანანითა და ფინიკით გაუმასპინძლდა.

ღამით თბილად დააძინა თავის ბინა-გამოქვაბულში. ბევრი რჩევა-დარიგებაც მისცა:

ჩემო პატარა, ამიერიდან ნუ გააჯავრებ შენს მშობლებს, ისინი ძალიან ინერვიულებენო! კიდევ ბევრი რამ უთხრა და ურჩია.

დილით კი, დილით კეთილმა მამონტმა ბურთი შეაკეთა, შეაწებ-შემოაწება, ჯოვანი შიგ ჩასვა და თავისი სამშობლოსკენ გაისტუმრა. თვითონ?

ჯოვანი მარტო არ წავიდა და ის ბრძენი და მოხუცი ბაბუ მამონტიც თან წაიყვანა.

9 მაისი 2020.

„მადონა“

(მინიატურა)

ბიჭი თავისთვის ხატავს. თავი გვერდზე გადაუწევია,მუქი წაბლისფერი თმები შუბლზე ჩამოუშლია. ხატავს. ხატავს და იცინის...

--- რა გაცინებს?

__არაფრით ჰგავხარ „მადონას“, რატომ გაქვს ასეთი გრძელი ცხვირი,დედა?

„ღმერთო ჩემო!“

---„მადონა“ ერთადერთია,შვილო... და ბიჭიც... არ სჯეროდა,მაგრამ იჯერებს,აღარ ხატავს.

„ერთადერთი“... უკვე დახატულია ...

გელა ბუიღლიშვილი

2019 წლის იანვარი.

HOMO SAPIENS-2-ანუ, ალბათ, იწვიმებდა კიდევ (მინიატურა)

ამოტრიალებული მაგიდის ირგვლივ მთვარეულივით ირწეოდნენ ნასასმლარი ლანდები და გვერდზე მოქცეული სახეებით ხარხარებდნენ. მაღალს სავსე ჭიქა ეჭირა, საიდანაც ღვინო ექცეოდა და მთელი ძალით გაჰყვიროდა:”-ერთი სადღეგრძელო,თუ შეიძლება!“ მაგრამ მისი არავის ესმოდა.

ქუჩა სველი იყო და შავი...

__ მითხარით ერთი, ეს დავითი ვინ იყო, (აღმაშენებელი ალბათ!) კაცს ცხენიანად ჭრიდაო--ა?

იმას მიქებთ?--გაჰკიოდა ერთი დაბალი და მსუქანი ტიპი,საეჭვოდ ქანაობდა,ცალ თვალს ხუჭავდა და ვეღარ ახელდა. მერე იგივეს იმეორებდა და იმეორებდა. იმეორებდა უსაზღვროდ, უკვე ტვინს წვავდა.

სადღაც გურამ რჩეულიშვილი გამახსენდა:

„არი ერთი იაპონური წამება.

__?

__ ორი კვირა უკრავენ საუკეთესო ფირფიტას.

__მერე?

__განუწყვეტლივ უკრავენ.

__ორი კვირის ბოლოს რა?

__ორი კვირის ბოლოს მისჯილი გიჟდება.“

ქუჩა სველი იყო და შავი.

ალბათ იწვიმებდა კიდევ.

გელა ბუიღლიშვილი

2019 წელი.

მარიტას

სიო, სიო, გრილი სიო, სიო დილით მქროლელი,

ყვავილების კონა და მარგალიტის მთოველი.

გრძნობით უძლიერესო, რომ ედრები ზენა-ქარს

ფიქრთა გორის მწვერვალი-ეს მარიტა შენა ხარ.

ბაღში ვარდის ტუჩებზე დილის ცვრის სიციმციმე

მარტის დილა, მარტისვე ხან სითბო, ხან სიცივე,

მაგრამ მაინც მაისი, ვარდყვავილის ფრენა ხარ,

გრძელ ოცნების ტალღები-ეს მარიტა შენა ხარ.

მორცხვი იის სინაზე დილის შუქდანაყარი,

რა დავწერო , რა სიტყვა , ასე კარგი რა რა არის.

რომ ის იყოს ისეთი , როგორიცა შენა ხარ.

ეს სიტყვები , ეს ლექსი ამ გრძნობის თავთავია

და ეკუთვნის მხოლოდ მას, ვინც რომ ცის ვარსკვლავია,

მე იმ ვარსკვლავს ვუმღერი, მისი ხილვა მახარებს,

მას ვუმღერი , მას ვუშლი მე ჩემს ბაირახტარებს.

10-08-2019 წ.

მერი

„ ჰა, აგვისტო ხუჭავს თვალებს

ხვალ თენდება სექტემბერი

და შევაღებ სკოლის კარებს“,-

სიხარულით ფიქრობს მერი.

გუშინ დედამ ქალაქიდან

მოუტანა კოხტა ჩანთა,

თითქოს მზიდან ანარეკლმა

მერი სხივმა გაანათა.

მოეხვია , კოცნის დედას,

თანაც ჩანთას იკრავს გულში,

შემდეგ თავი მიანება

და წიგნებთან გაჩნდა წუთში.

გადმოიღო „დედა ენა“

რვეულები და ფანქარი,

ჩადო შიგ და გადაკეტა,

ჩქარობს, როგორც ნიავ-ქარი.

შემდეგ დადგა სარკის წინ და

მოეწონა თავისთავი,

ამშვენებდა კოხტა ჩანთა

კარგი იყო სანახავი.

დაინახა, რომ გათავდა

ბავშვობა და დედის ნანა

ძველ მერიკოს აღარ ჰგავდა

და იწყებდა ახალ ხანას.

„ ჰა, აგვისტო ხუჭავს თვალებს,

ხვალ თენდება სექტემბერი

და შევაღებ სკოლის კარებს,”-

სიხარულით ფიქრობს მერი.

2019 წლის 27 ნოემბერი.

“ ზამთრის ერთ დღეს”

(მინიატურა)

ზამთარი.სოფლის ავტობუსი. თბილა,“ნაცნობიც რომ გამოჩნდეს...“

და ღიმილი. იმის და..

__“არ ჩამოდის?“

__“არა,ცოლი მოიყვანა.“

__“დიდი ხანია?“

__“ორი ბავშვი ჰყავს“. . .

და,ერთხელ კიდევ გაიელვეს დარცხვენილმა თვალებმა.

ერთხელ კიდევ... შესცივდა.

სარკმლიდან ქარი იპარებოდა.

„ჰო,უმცროსს შენი სახელი ჰქვია.“…

2018 წელი.

პოეტური არტი

მე ხშირად ვფიქრობ ცხოვრების გზაზე ,
აზრები დამდევს ჯერ განუცდელი;
დღე მოსაწყენი ვით გალამაზდეს ,
როგორ ავავსო ვნებით ფურცელი.
ნაცნობი ბაღი , ვარდთა წალკოტი
კვლავ გაეშალა თვალს ფიანდაზად ,
შიგნით შევედი გულგანაკოტი
და თან შემომყვა მშიერი კატა ,
დაოსებოდა შიმშილით ფეხი
ეჰ , ერთ დროს მატყდა მე ლექსის მეხი.
ბედისწერა ჰგავს გაქნილ ავაზაკს ,
მე ხშირად ვფიქრობ ცხოვრების გზაზე
და ქუჩა-ქუჩა დავიარები
ფიქრმა წამიღო საწყალ კატაზე
და მომემატა ნაიარევი.
ვისაც ვაჩვენე მე ლექსთა ძალა ,
ყველამ დაიწყო მიეთმოეთი,
მავანთ სიბრიყვე , ვგრძნობ, მოეძალათ,
თორემ სხვებზე რით არიან მეტნი?!
ერთფეროვნება , რა ვქნა , არ მიყვარს
სუფრასთან მთხოვენ სიტყვას აზარტით ,

ნაცნობი კატა კეთილ ბავშვს მიჰყავს ,

ვიცი ფერები პოეტურ არტის .

აზრი მოვიდა აქ დიდებული

კაცი ბევრია გონებით მოკლე ,

მგოსანი დარჩი ამაღლებული ,

გახსოვდეს , დაღმართს აღმართი მოსდევს !

2020 წლის მარტი

„მილეთსმოწყვეტილნი“

იტალია . . . ჩემი საოცნებო ქვეყანა...

მაშ ასე,იტალიაში მივდივარ...

ძალიან მიხარია. მე ხომ ყოველთვის მინდოდა ამ ქვეყანაში მოგზაურობა.

ბარგი სწრაფად ჩავალაგე და აეროპორტისაკენ გავწიე. თვითმფრინავი

„თბილისი-მილანი“ ასაფრენ ბილიკზე იდგა. დადგა სანატრელი წუთიც და ვერცხლისფერი ლაინერი ცაში აიჭრა.

__BUONGIORNO ITALIA! (დღე მშვიდობისა, იტალია!)

გზადაგზა ცნობებს ვაგროვებ:“იტალია იტალიკების ტომებით ყოფილა დასახლებული,ლადინები,ოსკები,უმბრები,პიცენები და სხვებიც. მათგან ყველაზე უდიდესი ტომი ლატინების ყოფილა. იტალიის ცენტრი ეტრუსკებით ყოფილა დასახლებული,რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს იტალიის კულტურაზე.

ისინი შემდგომში რომაელების მიერ იყვნენ ასიმილირებულნი.“

დღევანდელი იტალია 20 რეგიონისაგან შედგება. მოსახლეობის 94%-ს იტალიელები შეადგენენ. პირველად მილანში ჩავფრინდი. მილანიდან ვენეციისაკენ გამიწია გულმა,თუმცა სხვა ქალაქების: გენუის,ბოლონიის ნახვაც მეწადა.

ვენეცია . . .

ვენეცია-„არხების ქალაქი“ ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში,თურმე 118 პატარა კუნძულზეა განლაგებული,რომლებიც ერთმანეთს არხებით გამოეყოფა. ის მდინარეების,პოსა და პიავეს შორის მდებარეობს. ეს ქალაქი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში არის შეტანილი. აქ ხალხი სპეციალური ნავებით-„გონდოლებით“ გადაადგილდება.

„გონდოლებით“ ბევრი ვისეირნე...

საღამოს ქუჩაში გავედი. შავი მაისური და ჯინსი მაცვია. მივდივარ, მიხარია ბიჭს. ყველაფერი მაინტერესებს.

რაღაც სუვენირი მომეწონა. ვათვალიერებ.ვიღიმი,ალბათ შევიძენ,თუ ძვირი არ ეღირება.

უცებ. . .

...“სიცოცხლეც

მარტო იმიტომ მინდა,

რომ ჩემს საფლავზე ყაყაჩოსავით

ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა“

სწრაფად შემოვბრუნდი.

ვიღაც ხანშიშესული მანდილოსანი ჩემი მაისურის ზურგზე დაბეჭდილ ქართულ წარწერას ხმამაღლა კითხულობს .

ნეტავ, რომელი უფრო გაოცებულია: ის თუ მე?

__თქვენ?_ვეკითხები ქართულად

__თქვენ ქართველი ხართ, ახალგაზრდავ?__აქეთ მეკითხება.

თვალებში ცრემლები უდგას.

___ჰო,ქართველი ვარ, სტუდენტი, თბილისიდან. ვმოგზაურობ. იტალია ძალიან მიყვარს.

მგონი აღარც მისმენს. ახლოს მოვიდა, ფრთხილად შემოტრიალდა და ზურგზე ხელი მომისვა:

___შეიძლება,დედი, მოვეფერო ქართულ წარწერას, ამ დალოცვილ ანბანს?

___დიახ,ქალბატონო--არანაკლებ გაოცებული ვარ.

რაღაცას ბუტბუტებს.

მერე

___არ გაგიკვირდეს, დედი! იტალიაში ვარ უკვე 20 წელია. სამშობლოდან წამოვედი სამუშაოდ და ისევ აქ ვარ, წასვლა ვეღარ შევძელი.

ხმა აუკანკალდა; ხელები უცახცახებდა.

___დამშვიდდით, ქალბატონო, მოდით, აგერ ჩამოვსხდეთ.

ვუთითებ იქვე ახლოს, სკვერში მდგარ სკამზე.

თავი დამიქნია.

სკამზე მოვკალათდით.

საუბარს ისევ თავად იწყებს:

___ნეტავ, ჩემს საფლავზე თუ იყვავილებს ქართული სიტყვა, შვილო?___მეკითხება და აგრძელებს:

___ვინ იცის?.. ნეტამც, ნეტამც!

თანაგრძნობით ვუცქერი; რა ვთქვა, მერიდება.

__იცი, შვილო, როგორ ნათლად მახსოვს ის დღეები?

მორიდებით

__რაზე საუბრობთ, ქალბატონო?

__1978 წლის 14 აპრილი... მაშინ თქვენი ასაკის ვიქნებოდი. სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი. პირველ კურსზე ვიყავი...კონსტიტუციიდან ამოიღეს ქართული, როგორც სახელმწიფო ენა. თბილისი საპროტესტო განწყობამ მოიცვა. მეწინავენი მაინც უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ.

მოვლენებმა აპოგეას მიაღწიეს.

აუდიტორიები, სკოლები დაიცალა.

მრავალათასიანი კოლონა მთავრობის სასახლისაკენ დაიძრა. დროს არავინ კარგავდა.

კოლონას გზადაგზა უამრავი ხალხი უერთდებოდა. ყველაფერი კარგად გათვლილი იყო. მილიციის პირველი კორდონი რუსთაველის მოედანზე დაგვხვდა, მეორე__

სასტუმრო „თბილისთან''. კორდონი სწრაფად გავარღვიეთ. მილიციას არ გაუწევია დიდი წინააღმდეგობა.

დაჩოქილები ველოდით საბოლოო პასუხს.

ნაღველჩასახლებული თვალებით შევცქეროდით ერთმანეთს.

და აჰა, განაჩენიც გამოიტანეს!

გადაწყდა ისე, როგორც ქართველ ხალხს სურდა.

დამტკიცდა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი.

სადღა იყო განსხვავება_ დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, ნაცნობი და უცნობი ერთმანეთს ეხვეოდა.

ყველანი თითქმის ერთდროულად ტიროდნენ.

აღსდგა „ლაზარე!“

მონუსხული ვუსმენ, მაგრამ სანდომიანმა ქალბატონმა მთრთოლვარე ხმით მოყოლილი მონოლოგი ისე მოულოდნელად დაასრულა, როგორც დაიწყო.

თითქოს მილეთსმოწყვეტილნი, იქ, სადღაც იტალიის უცხო მიწაზე, სკვერის პატარა სკამზე ვისხედით ჩვენ, ორი დროის, ორი განსხვავებული ქართველი და სულში ხმიანობდა „სიცოცხლეც მარტო იმიტომ მინდა...“

2019 წელი

N-ს

შენ გიმღეროდი, შენ , ჩემო N,

შენთვის გავთალე მე ლერწმის ყელი:

შენ იყავ მთელი სიცოცხლეც ჩემი,

შენ დარჩი ჩემი სიცოცხლის მსმელიც.

არ შეიწყნარე ჩემი მუდარა,

ალერსი, ტრფობა უმხურვალესი,

სეტყვით მესროლე შავი სუდარა

და მგრგვინვარება მრისხანე ზევსის.

ვეღარ გავუძელ სუსხიან ავდრებს,

ჯოჯოხეთიურ ტანჯვას და ყველფას

და შენი ტრფობით დამწვარ ჩემს ვარდებს

ზედ სიყვარულიც თან დაეფერფლა.

ნებით სიყვარულს რა შეედრება?!...

ძალით გიყვარდეს--ეს რა წესია?...

ლამაზი ქალის ნაზი ბუნება

ვაჟკაცის ხმალზეც უმტკიცესია.

2019 წლის 13 აპრილი.

შენ გიმღეროდი

ნარგიზს სიტურფე არ დაჰკლებია,

არც ზამბახ-იას უცხო მშვენება,

მაგრამ სიტურფე შენ რომ გჩვევია

მას ხომ ვერც ერთი ვერ შეედრება.

შენს   მსგავსს ვეძებდი,ბაღში გავედი

და იქ დავწყვიტე ნორჩი ლალები,

მაგრამ დავმარცხდი,რომ შეგადარე

შენ გიბრწყინავდნენ გიშრის თვალები.

კვლავ ბაღს მივმართე და მარწყვის კონებს

მე შევურიე ვარდები ნაზი,

მაგრამ დავმარცხდი რომ შეგადარე

შენ იყავ მათზე უფრო ლამაზი.

მაშინ,ძვირფასო, აალებულმა

შენს სიდიადეს და სილამაზეს,

ლალებ-ვარდებში გამოხვეული

მე სიყვარული შემოგთავაზე.

მესამე ცდაა. ცდა საბოლოო,

ცდაში გიზგიზებს გრძნობა ალური,

რადგან სიტურფეს თან დასდევს ტრფობა

არ იზრახება ეს სიყვარული.

ნაზ ხელებიდან გამოჭედილი

ფხიანი არის ეგ შენი ხმალი,

მაგრამ უბერავს მტკიცეზე მტკიცე

ჩემგან ნატყორცნი ტრფობის გრიგალი.

2019 წლის 12 აპრილი.

სიმღერა საქართველოზე

(ვუძღვნი ახლგაზრდა პოეტს დათა გულუას)

რა ლამაზი ხარ, მშობელო მხარევ ,

სხივჩახვეული ია-ვარდებით,

აგრე ტკბილი და ასე ბრწყინვალე

მითხარი: ვის არ შეუყვარდები?

შენი სახელი საქართველოა,

სხვა საქართველო არსად არ არის.

ეს მარტო ტურფა ეს მთა-მდელოა,

მარტო ეს კუთხე შუქდანაყარი.

სხვა საქართველო აბა სად არის,

რომელი კუთხე , რომელ მხარეში?

აყვავებული ნაზი ბაღნარით

და მზის სხივებით ცის ლაჟვარდებში.

ეს მხოლოდ ჩემი სამშობლო არის,

ეს მხოლოდ ჩემი მთა და მდელოა,

დიდი რუსთველის, გალაკტიონის

დედა მშობელი საქართველოა.

2019 წლის 11 ივლისი.

ქუთაისი

შენს გაფურჩქნულ მკერდს რომ ვხედავ,

ტურფას, სამაისოს,

შენც ხარობ და მეც მახარებ,

ჩემო ქუთაისო.

კაკალ გულში ჩაგეკვრები . . .

შენი ეშხი მათბობს

და ეგ შენი სიდიადე

შაქარივით მატკბობს.

შენთან ცივი ზამთარიც კი

არის სამაისო.

კვლავ გისურვებ წარმატებებს

ჩემო ქუთაისო!

2019 წელი.